



ენერგოდაიჯესტი

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო

ანალიტიკური დეპარტამენტი

13.05.2014

№ 17

სარჩევი

საქართველო.....	3
გარდაბნის თბოელექტროსადგურის ტურბინები უკვე საქართველოშია	3
ხულონჰესის აშენება მნიშვნელოვანია ენერგოუსაფრთხოებისთვის და ბიზნესის განვითარებისთვის	4
რეგიონი	5
თურქეთი და ჩინეთი 12 მლრდ აშშ დოლარის ღირებულების ქვანახშირის სადგურის პროექტთან დაკავშირებით მოლაპარაკებებს აწარმოებენ.....	5
ირანს სურს ევროპას ბუნებრივი აირი სომხეთისა და საქართველოს გავლით მიაწოდოს	5
თურქეთი ენერგეტიკის სექტორში ინვესტირებას აგრძელებს.....	6
რუსეთის ფედერაცია და პოსტსაბჭოთა ქვეყნები	7
რუსეთი უკრაინას გადასახადის ბოლო ვადას უწესებს.....	7
რუსეთი მხარს უჭერს Exxonmobil-თან თანამშრომლობით 4 არქტიკული ნავთობის პროექტის განხორციელებას.....	8
Gazprom-ის განცხადებით, არანაირი გადაწყვეტილება ყირიმში ინვესტიციის განხორციელების შესახებ არ არსებობს.....	9
ევროპა	10
ბრიტანელი მინისტრის აზრით, ევროკავშირის ფიქალის გაზმა უნდა შეამციროს რუსეთზე დამოკიდებულება	10
ევროკავშირის წევრი ქვეყნებისთვის რუსულ გაზზე ერთი ფასის დაწესება სურს	11
მსოფლიო.....	13
ისრაელის გაზის საბადოს პარტნიორებმა ეგვიპტეში LNG-ი სადგურზე ექსპორტის თაობაზე დაინტერესების წერილს ხელი მოაწერეს.....	13
ქარის ენერჯია უფრო მიმზიდველი ხდება.....	14
განახლებადი ენერჯიების ინდუსტრიაში დასაქმებულთა რაოდენობა 14%-ით გაიზარდა	15
ანალიტიკა	17
იაპონია მომავალი 25 წლის განმავლობაში კოსმოსში 1 გიგავატი სიმძლავრის მზის პანელების სადგურების განთავსებას გეგმავს	17

გარდაზნის თბოელექტროსადგურის ტურბინები უკვე საქართველოშია

„ჯენერალ ელექტრიკის“ უახლესი ტურბინები, რომლებიც გარდაზნის 230 მგვტ სიმძლავრის კომბინირებული ციკლის თბოელექტროსადგურზე უნდა დამონტაჟდეს, უკვე ფოთის პორტშია.

როგორც „საპარტნიორო ფონდში“ აცხადებენ, მათ ტრანსპორტირებას დანიშნულების ადგილამდე დაახლოებით 10 დღე და 100-ზე მეტი ტრაილერი დასჭირდება.



„სადგური იმუშავებს გაზზე და ორთქლზე და იქნება 50 პროცენტით უფრო ეკონომიური, ვიდრე აქამდე არსებული ამ ტიპის თბოელექტროსადგურები,“- განაცხადა „საპარტნიორო ფონდის“ აღმასრულებელმა დირექტორმა ირაკლი კოჭანაძემ.

„საპარტნიორო ფონდმა“ თავის შვილობილ კომპანია - „საქართველოს ნავთობის და გაზის კორპორაციასთან“ ერთად გარდაზნის თბოელექტროსადგურის მშენებლობა იანვრის თვეში დაიწყო და გეგმავს, რომ იგი ექსპლუატაციაში 2015 წლის ბოლოდან გაუშვას. პროექტის საინვესტიციო ღირებულება 220 მლნ აშშ დოლარია. იგი ფინანსდება „საპარტნიორო ფონდისა“ და „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის“ მიერ. პროექტის პარტნიორი კი უმსხვილესი თურქული კომპანია - ÇALIK ENERJİ-ა. მშენებლობაზე 300-მდე ადამიანია დასაქმებული, მათგან 70 პროცენტი ადგილობრივია.

ფონდში აცხადებენ, რომ გამომუშავებული ელექტროენერგიით ადგილობრივი ბაზარი მომარაგდება, ხოლო ქვეყნის ენერგეტიკულ სისტემაში პრობლემის წარმოშობის შემთხვევაში, სადგური ნახევარი საათის განმავლობაში შეძლებს ქვეყნის ელექტროენერგიით უწყვეტად მომარაგებას.¹

ხუდონჰესის აშენება მნიშვნელოვანია ენერგოსაფრთხოებისთვის და ბიზნესის განვითარებისთვის

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე ქეთევან ბოჭორიშვილი მიიჩნევს, რომ ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისთვის ძალზედ მნიშვნელოვანია ისეთი მსხვილი საინვესტიციო პროექტების განხორციელება, როგორც ხუდონჰესია.

„ეს არის უმნიშვნელოვანესი პროექტი არა მხოლოდ იმიტომ, რომ ეს ჩვენ



ეკონომიკას განავითარებს, არამედ იმიტომ, რომ ეს ეხება ქვეყნის ენერგოსაფრთხოებას. ამ პროექტით დაცული იქნება არა მარტო ენერგოსაფრთხოება, არამედ ეს მოგვითანს ჭარბ ელექტროენერგიას, რაც საშუალებას მოგვცემს დავაკმაყოფილოთ არა მარტო შიდა ბაზარი, არამედ გაგვიჩნდეს ექსპორტის საშუალებაც.

ამგვარი მსხვილი პროექტები ასევე მნიშვნელოვანია ბიზნესის განვითარებისთვის,“- განაცხადა ქეთი ბოჭორიშვილმა.

შეგახსენებთ, რომ ხუდონჰესი მდინარე ენგურზე შენდება. ჰესის დადგმული სიმძლავრე 702 მეგავატი იქნება და მის ასაშენებლად ინდურ-ბრიტანული კონსორციუმი „ტრანს ელექტრიკა ჯორჯია“ 1.2 მლრდ აშშ დოლარის ინვესტირებას გეგმავს.²

¹ <http://www.bpn.ge/ekonomika/4189-gardabnis-thboelettrosadguris-turbinebi-ukve-saqarthveloshia.html?lang=ka-GE>

² <http://news.boom.ge/geo/11/20140505/3502551/>

თურქეთი და ჩინეთი 12 მლრდ აშშ დოლარის ღირებულების ქვანახშირის სადგურის პროექტთან დაკავშირებით მოლაპარაკებებს აწარმოებენ

თურქეთის ენერჯეტიკის მინისტრის თანერ ილდიზის ცნობით, ქვეყანა ჩინეთთან მოლაპარაკებებს აწარმოებს 10-12 მლრდ აშშ დოლარის ღირებულების აზშინ-ელბისტანის ქვანახშირის ელექტროსადგურის მშენებლობის საკითხთან დაკავშირებით.

სახელწიფო საკუთრებაში არსებულმა თურქულმა კომპანიამ და აბუ დაბის ეროვნულმა ენერჯო კომპანიამ (TAQA) აღნიშნულ პროექტზე შეთანხმებას 2013 წლის იანვარში მოაწერეს ხელი, თუმცა 2013 წლის აგვისტოში TAQA-მ განაცხადა, რომ გარკვეული დროის მანძილზე ვერ ჩადებდა პროექტში ინვესტიციას, რის გამოც თურქეთმა ახალი კომპანიების ძიება დაიწყო.



დაინტერესებულ მხარეთა შორის სამხრეთ კორეული და ჩინური კომპანიები იყვნენ.

„ეს გრანდიოზული პროექტია და ჩვენ გვაქვს შესაბამისი ცოდნა და აუცილებლად უნდა ავაშენოთ აზშინ-ელბისტანის სადგური. ამ კუთხით ჩვენ ჩინეთთან ერთად ვმუშაობთ,“ - განაცხადა თანერ ილდიზმა.

თურქეთის ენერჯეტიკის მინისტრის ცნობით, აზშინ-ელბისტანის რეგიონში მთელი თურქეთის მურა ნახშირის 40%-ია და რესურსის პოტენციალის სრულად ათვისების შემთხვევაში, შესაძლებელი იქნება სამხრეთ თურქეთის 8 000 მგვტ სიმძლავრით უზრუნველყოფა.³

ირანს სურს ევროპას ბუნებრივი აირი სომხეთისა და საქართველოს გავლით მიაწოდოს

ირანის ენერჯეტიკის მინისტრის მოადგილემ ალი მაჯედიმ საინფორმაციო სააგენტო ISNA-ს განუცხადა, რომ ქვეყანა მზად არის ევროპას ბუნებრივი აირი სომხეთის მეშვეობით მიაწოდოს.

³ <http://www.hurriyetdailynews.com/turkey-china-in-talks-over-12-billion-coal-energy-investment-minister.aspx?pageID=238&nID=65985&NewsCatID=348>

შესაძლო მარშრუტებზე საუბრისას მინისტრის მოადგილემ თქვა, რომ არსებობს 3 სავარაუდო მარშრუტი: პირველი - თურქეთის გავლით, მეორე - სომხეთის, საქართველოსა და შავი ზღვის გავლით, მესამე - ერაყის, სირიისა და ლიბანის გავლით.

მცირე ხნით ადრე ირანის ინდუსტრიის, სამთამადნო მრეწველობისა და ვაჭრობის მინისტრმა მოჰამად რეზა ნემათზადემ განაცხადა, რომ იმ დროს როდესაც ევროპაში ბუნებრივ აირზე მოთხოვნა იზრდება, ირანს გააჩნია შესაძლებლობა ითამაშოს დიდი როლი ევროპის ბუნებრივი აირით დაკმაყოფილების საქმეში.

რუსეთს „უკრაინული საქმის“ გამო ევროპა ეჭვის თვალით უყურებს და თუ ევროკავშირი კვლავ გაუმკაცრებს რუსეთს სანქციებს ბუნებრივი აირის მიწოდების საკითხში, ირანი ხელსაყრელ პოზიციაში აღმოჩნდება.

„ირანი შესაძლოა სანდო პარტნიორად იქცეს ევროპისთვის: მნიშვნელოვანი რესურსებითა და ამ სფეროში პროექტების განხორციელებით ირანს შესაძლებლობა ექნება ითანამშრომლოს ევროპის ქვეყნებთან,“ - განაცხადა მოჰამად რეზა ნემათზადემ.⁴

თურქეთი ენერგეტიკის სექტორში ინვესტირებას აგრძელებს

სააგენტო Anadolu-სთან საუბრისას თურქეთის ენერგეტიკის მინისტრმა თანერ ილდიზმა განაცხადა, რომ ქვეყანა 2023 წლამდე ენერგეტიკის სექტორში 118 მლრდ აშშ



დოლარის ინვესტირებას აპირებს. „ თურქეთის მოხმარება 2013 წლისთვის გაორმაგდება და ზუსტად ამისთვის გვჭირდება ინვესტიციები,“ აღნიშნა მინისტრმა.

ილდიზის ცნობით, ქვეყანას სურს ჰქონდეს ატომური ელექტროსადგურები, მაგრამ ამისთვის აუცილებელია თურქეთმა ატომური სადგურების სამშენებლო ინდუსტრიაც განავითაროს.

ქვეყნის მთავრობა ენერგორესურსების დივერსიფიცირებას გეგმავს და ამის გამო 2 ატომურ ელექტროსადგურს აშენებს. პირველ ატომურ სადგურს Rosatom-ი ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე, მერსინში ააშენებს, ხოლო მეორე სადგურს კი - ფრანგულ-იაპონური კონსორციუმი შავი ზღვის სანაპიროზე, სინოპში.

⁴ <http://asbarez.com/122785/iran-%E2%80%98ready%E2%80%99-to-supply-gas-to-europe-via-armenia/>

თურქეთის ენერჯეტიკის მინისტრის ცნობით, ქვეყანა ასევე თანამშრომლობს იაპონიასთან ინფორმაციისა და ტექნოლოგიის უნივერსიტეტის მშენებლობის პროცესშიც, რომლის ბიუჯეტი 200 მლნ აშშ დოლარი იქნება.

თურქეთი ელექტროენერჯის 46 %-ს ბუნებრივი აირის მეშვეობით გამოიმუშავებს და ენერჯეტიკული მოთხოვნის დაკმაყოფილებისთვის წელიწადში დაახლოებით 60 მლრდ აშშ დოლარის გადახდა უწევს.

თურქეთის 2013 წლის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად საჭირო ბუნებრივი აირის 98 % და ნავთობის 93 % იმპორტს წარმოადგენს.⁵

რუსეთის ფედერაცია და პოსტსაბჭოთა ქვეყნები

რუსეთი უკრაინას გადასახადის ბოლო ვადას უწესებს

როგორც ცნობილია რუსეთი ევროპის ბუნებრივი აირის მოთხოვნის მესამედს აკმაყოფილებს, რომლის ნახევარზე მეტიც უკრაინის გავლით მიეწოდება ბებერ კონტინენტს. მიწოდების ნებისმიერმა შეფერხებამ უკრაინისადმი შესაძლოა ძალზედ დააზარალოს ევროპული ქვეყნები და კომპანიები. რუსულმა მხარემ განაცხადა, რომ თუ უკრაინა არ გადაიხდის ივნისში მისაწოდებელი ბუნებრივი აირის საფასურს მაისის ბოლომდე, ისინი პირველი ივნისიდან შეუწყვეტენ უკრაინას მიწოდებას.

რუსეთის გაფრთხილება რუსული და უკრაინული მხარეების პოლონეთში შეხვედრის შემდეგ გაჟღერდა. მხარეები პოლონეთში 2006 და 2009 წლის რუსეთ-უკრაინის გაზის კრიზისის მსგავსი სიტუაციის თავიდან ასაცილებლად და მოსალაპარაკებლად შეიკრიბნენ.



რუსეთის ენერჯეტიკის მინისტრმა განაცხადა, რომ ივნისის გაზის საფასურს 16 მაისს გამოაქვეყნებენ, რაც მისივე განცხადებით 31 მაისამდე უნდა დაიფაროს.

რუსეთ-უკრაინას შორის დავა მძაფრდება ყირიმისა და აღმოსავლეთ უკრაინის კრიზისების გამო, სადაც სულ უფრო იზრდება დაპირისპირება სეპარატისტებსა და უკრაინის არმიას შორის. Gazprom-ის განცხადებით, უკრაინის დავალიანება 3.5 მილიარდი აშშ დოლარია. წინა თვეს რუსულმა გიგანტმა უკრაინას ფასი 80%-ით, 484.5 აშშ

⁵ <http://en.trend.az/regions/met/turkey/2270088.html>

დოლარამდე გაუძვირა. შედარებისთვის, Gazprom-ი საშუალოდ ევროპული ქვეყნებისგან 377 აშშ დოლარს იღებს 1000 კუბ.მ. გაზის სანაცვლოდ. უკრაინელები აცხადებენ, რომ გაძვირებული ფასი დისკრიმინაციულია და ვერ შეძლებენ გადახდას, რაც ასევე ართულებს მოლაპარაკებებს მხარეებს შორის.

საერთაშორისო სავალუტო ფონდი მზად არის უკრაინას დასახმარებლად გამოუყოს 17 მილიარდი აშშ დოლარი. პირველი ტრანშის მოცულობა 3 მილიარდი აშშ დოლარი იქნება.⁶

რუსეთი მხარს უჭერს Exxonmobil-თან თანამშრომლობით 4 არქტიკული ნავთობის პროექტის განხორციელებას

Rosneft-მა განაცხადა, რომ კომპანიის დირექტორთა საბჭომ ამერიკულ ExxonMobil-თან ერთად ლაპტევისა და ჩუკოტკის ზღვებზე არქტიკული ნავთობის რეზერვუარების მოპოვებისა და განვითარების ოთხი ახალი პროექტი დაამტკიცა.

როგორც განცხადებაშია ნათქვამი, პროექტი მიმართული იქნება ოთხ ლიცენზირებულ მდიდარ ნავთობ რეზერვუარზე: ლაპტევის ზღვის რიფოვან ზონაში „ანისინსკ-ნოვოსიბირსკი“ (Anisinsk-Novosibirsk) და „უსტ-ოლენეკსკი“ (Ust-Oleneksk), ასევე „ჩრდილო-ვრანგელ-2“ (North-Wrangell-2) და „სამხრეთ-ჩუკოტკის“ (South-Chukchi) რიფების რეზერვუარები.



გასული თვის ბოლოს Rosneft-ის დირექტორთა საბჭო შეიკრიბა, რათა შეეფასებინათ ოთხივე პროექტთან დაკავშირებული ყველა შეთანხმების ღირებულება. მათ მხარი დაუჭირეს ურთიერთსასარგებლო შეთანხმებას, მათ შორის, მარეგულირებელი

⁶ http://energy.einnews.com/article/203035067/VvDIY_m7993NTjMT?n=2&code=GC3nUIjkIECsLFtE

ერთობლივი საწარმოების, საოპერაციო მომსახურებების, ფინანსური ხარჯებისა და ნახშირწყალბადებით ვაჭრობის შესახებ.

რუსულმა ნავთობკომპანიამ უარი განაცხადა გაემჟღავნებინა შეთანხმების ფინანსური პირობები. გასული თვეში Rosneft-ი და ExxonMobil-ი შეთანხმდნენ, რომ ითანამშრომლებენ ლაპტევების რიფებზე „უსტ-ლენინის“ (Ust-Leninskoye), ხოლო ჩუკოტკის რიფებზე „ჩრდილო-ვრანგელ-1“ (North-Wrangel-1) რეზერვუარებთან დაკავშირებით.⁷

Gazprom-ის განცხადებით, არანაირი გადაწყვეტილება ყირიმში ინვესტიციის განხორციელების შესახებ არ არსებობს

რუსეთის ბუნებრივი აირის მწარმოებელმა უმსხვიელსმა კომპანიამ Gazprom-მა განაცხადა, რომ არანაირი გადაწყვეტილება არ მიღებულა ყირიმის ნახევარკუნძულზე ინვესტირებასთან დაკავშირებით.

Gazprom-ის ფინანსური და ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსის მოადგილემ



ალექსანდრე ივანნიკოვმა სატელეფონი კონფერენციაზე აღნიშნა, რომ ამ ეტაპზე გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ ყირიმში განხორციელდეს რაიმე სახის პროექტი, ან შეიქმნას ფონდი ინვესტიციების განსახორციელებლად, არ არსებობს.

ყირიმის ნახევარკუნძულის

ხელისუფლებამ Gazprom-ს შესთავაზა ჩაერთოს ნახევარკუნძულის ენერგეტიკულ სექტორში და მონაწილეობა მიიღოს შესაძლო ტენდერში ენერგეტიკული კომპანია „ჩერნომორნეფტეგაზის“ (Черноморнефтегаз/Chernomorneftegaz) შესყიდვასთან დაკავშირებით. აღსანიშნავია, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ამ თვის დასაწყისში ყირიმის გაზის კომპანიის მიმართ სანქციები დააწესა.⁸

⁷ <http://www.hellenicshippingnews.com/News.aspx?ElementId=09487a3b-15e8-4557-8244-5a0507c96f8b>

⁸ <http://www.hellenicshippingnews.com/News.aspx?ElementId=34d82c82-dde9-42d7-82a7-aacf2a77f3c4>

ბრიტანელი მინისტრის აზრით, ევროკავშირის ფიქალის გაზმა უნდა შეამციროს რუსეთზე დამოკიდებულება

ბრიტანეთის ენერჯეტიკის მინისტრის განცხადებით, ევროკავშირის წევრმა ქვეყნებმა უნდა დაიწყონ ფიქალის გაზის წარმოება, რათა რუსულ ბუნებრივ აირზე დამოკიდებულება შეამცირონ.



ფიქალის გაზის მოპოვებისთვის საჭიროა ევროკავშირის წევრმა ბევრმა ქვეყანამ დაუშვას და წახალისოს ჰიდრაულიკური ბურღვის მეთოდი, რომელიც კლდოვანი საბადოებიდან დაწნეხილი წყლის, ქვიშისა და

ქიმიკატების ნაზავის მეშვეობით ნახშირწყალბადების განთავისუფლებას გულისხმობს.

„ევროკავშირის წევრი მრავალი ქვეყანაა რუსულ ბუნებრივ აირზე უკიდურესად დამოკიდებული,“ - აცხადებს ბრიტანეთის სახელმწიფო მინისტრი ბიზნესისა და ენერჯეტიკის დარგში მაიკლ ფოლონი და იქვე ამატებს, რომ ევროპამ უნდა შეამციროს რუსეთზე დამოკიდებულება, გააუმჯობესოს კავშირები, ხელი უნდა შეუწყოს ბუნებრივი აირის წყაროების დივერსიფიცირებას და წახალისოს ისეთი შიგა წყაროები, როგორცაა ფიქალის გაზი.

რუსეთის მიერ უკრაინული ყირიმის ანექსიის გამო, დასავლეთმა რუსეთს შეზღუდული სანქციები დაუწესა, მაგრამ ანალიტიკოსების აზრით, ევროპა ვერ გაამკაცრებს სანქციებს, რადგანაც ის ძლიერ დამოკიდებულია რუსულ ბუნებრივ აირზე.

მიუხედავად იმისა, რომ გაერთიანებული სამეფო ბუნებრივი აირის მოთხოვნის მხოლოდ 1 %-ს იკმაყოფილებს რუსეთიდან იმპორტით, ის მაინც გარე წყაროებზეა დამოკიდებული და სწორედ ამიტომ, 2 წლის წინ ბრიტანეთმა დაიწყო ფიქალის გაზის მოპოვებასთან დაკავშირებული კანონმდებლობის ლიბერალიზაცია.

ბურღვის ჰიდრაულიკურმა მეთოდმა, მიუხედავად გარემოს დამცველი ჯგუფების წინააღმდეგობისა, შეცვალა აშშ-ის ენერჯეტიკული სურათი და მკვეთრად შეამცირა მისი დამოკიდებულება უცხოურ საწვავზე.

„ვიმედოვნებ, რომ 5 წლის შემდეგ ჩვენ მოპოვებას დავიწყებთ“ - განაცხადა ფოლონმა და იქვე დაამატა, რომ ბრიტანული ფიქალის გაზისადმი ინტერესი ისეთმა კომპანიებმა გამოხატეს, როგორებიც არიან Total-ი, Centrica, GDF Suez-ი.

მინისტრმა ასევე თქვა, რომ ქვეყანა ამჟამად ჩრდილოეთის ზღვის კონტინენტურ შელფზე ნავთობის წარმოების წახალისებაზე მუშაობს და ამ მიზნით ახალ მარეგულირებელ რეჟიმს აწესებს და ფისკალურ პოლიტიკას ამოწმებს.⁹

ევროკავშირის წევრი ქვეყნებისთვის რუსულ გაზზე ერთი ფასის დაწესება სურს

„ევროკავშირის წევრმა ქვეყნებმა ბუნებრივი აირის ექსპორტზე მოსკოვის ფასწარმოქმნის, „დაყავი და იბატონე“ ტაქტიკას უარი უნდა უთხრან და უკრაინასა და საქართველოსთან ენერგეტიკული კავშირები გააძლიერონ“ - განაცხადა ევროკავშირის ენერგო კომისარმა გიუნტერ ოიტინგერმა. კომისარის მოწოდება, ევროკავშირისათვის რუსეთის გაზის ერთიანი ფასების დაწესებაზე, ასახავს ევროპაში ენერგეტიკის მიმართულელებით გამართულ მწვავე დისკუსიებს, რაც რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიამ და ქვეყნების საზღვრებთან საჯარისო შენაერთების მობილიზებამ გამოიწვია. პოლონეთის პრემიერ მინისტრ დონალდ ტუსკთან ერთად გამართულ საინფორმაციო კონფერენციაზე ოიტინგერმა განაცხადა, რომ ევროპის საერთო ბაზარზე გაზის ერთიანი ფასის დაწესება სურს.



ტუსკმაც თავის მხრივ მხარი დაუჭირა ევროკავშირის ამ იდეას და ასევე რუსეთ-უკრაინის მოლაპარაკებებში რუსული გაზის ერთობლივი შესყიდვის საკითხს რუსული გაზის მიწოდების უსაფრთხოების კუთხით. „მოსკოვის მიერ შემოთავაზებული „დაყავი

⁹ <http://www.reuters.com/article/2014/05/05/uk-shalegas-europe-idUSBREA440VI20140505>

და იბატონე“, ან მსგავსი თამაში მიუღებელია ევროკავშირის წევრი ქვეყნებისთვის“ - რუსეთის ცვალებად ფასებზე საუბრისას განაცხადა კომისარმა.

ბოლო წლებში რუსულმა ექსპორტიორმა Gazprom-მა რამდენიმე კლიენტთან ახალ კონტრაქტებზე მოლაპარაკებები აწარმოა, მათ შორის უკრაინის პრო-რუსული პრეზიდენტის, ვიქტორ იანუკოვიჩის დროს, რომლის წასვლის შემდეგაც უკრაინისთვის ფასები მყისიერად გაიზარდა.

ამჟამად ევროკავშირის ქვეყნები Gazprom-ისგან ბუნებრივ აირს ორმხრივი ხელშეკრულების საფუძველზე ყიდულობენ და ფასებიც შესაბამისად სხვადასხვაა. ერთობლივი შესყიდვების შემთხვევაში კი ევროკავშირის ძალა მოლაპარაკებებში საგრძნობლად გაიზრდება, რაც საბოლოოდ ფასების შემცირებასაც გამოიწვევს.

ენერგო სადგურების უმეტესობა რუსული გაზის მიწოდებაზეა დამოკიდებული, განსაკუთრებით ცენტრალური ევროპის ქვეყნებში, რომელთაც უფრო მეტის გადახდა უწევთ, ვიდრე დასავლეთ ევროპის ქვეყნებს, სადაც Gazprom-ის გავლენა ნაკლებია.

„ჩვენ გაზის ფასებზე ძალიან დიდი განსხვავებები გვაქვს. რაც უფრო მეტია რუსული გაზის შესყიდვები და რუსეთი გაზის მიწოდებაში რაც უფრო მეტ მონოპოლიას ფლობს, მით უფრო მეტია ფასებიც“ - თქვა ოიტინგერმა.

Gazprom-ის განცხადებით, ოიტინგერის შემოთავაზებამ წამოწია სახელშეკრულებო საკითხები. „ ჩვენ გვსურს გავიგოთ, აღნიშნული შემოთავაზება გაზის ერთიან ფასებზე ეხება ევროპისთვის გაზის ყველა მომწოდებელს, თუ მხოლოდ რუსეთს? “ - განაცხადა Gazprom-ის სპიკერმა სერგეი კუპრიანოვმა.

კომპანიის წარმომადგენლების განცხადებით, მანამ სანამ უკრაინა გაზის მიწოდებაზე ნოემბრიდან-მარტის ჩათვლით არსებულ დავალიანებას არ დაფარავს, რომელიც დაახლოებით 2 მლრდ. აშშ. დოლარია, არანაირი კონტრაქტის გადახედვა არ მოხდება. „ამჟამად აღნიშნული მიმართულებით ვერანაირ პროგრესს ვერ ვხედავთ“ - ამბობს კუპრიანოვი.

მოსკოვი-კიევის ფასებთან დაკავშირებული დავის შედეგად Gazprom-მა 2006 და 2009 წლებში გაზის მიწოდება შეწყვიტა, რამაც უკრაინა და მასთან დაკავშირებული სხვა ქვეყნები ზამთრის პერიოდში გათბობის გარეშე დატოვა. მას შემდეგ ევროკავშირმა გარკვეული პროგრესი განიცადა ენერგო-მიქსის დივერსიფიკაციისა და რუსულ გაზზე დამოკიდებულების შემცირების კუთხითაც, თუმცა რუსულ ნავთობზე, გაზსა და ქვანახშირზე ევროკავშირის დამოკიდებულება კვლავ იზრდება, რომელიც ფულად ერთეულებში ყოველწლიურად საშუალოდ 250 მლრდ. აშშ. დოლარია.

ოიტინგერის განცხადებით ევროპას უნდა გააჩნდეს ბუნებრივი გაზისა და ელექტროენერჯის საერთო-ევროპული ქსელი, რომელიც ქვეყნებს შორის უფრო მეტი

ენერგო ხაზებისა და იმპორტის დივერსიფიკაციას გულისხმობს. „საერთო-ევროპული ქსელის ინფრასტრუქტურა ასევე უნდა მოიცავდეს უკრაინას, საქართველოსა და დასავლეთ ბალკანეთს. ჩვენ გვსურს სოლიდარობა გამოვუცხადოთ უკრაინას“ - აცხადებს ენერგო კომისარი.¹⁰

მსოფლიო

ისრაელის გაზის საბადოს პარტნიორებმა ეგვიპტეში LNG-ი სადგურზე ექსპორტის თაობაზე დაინტერესების წერილს ხელი მოაწერეს

ისრაელის Tamar-ის ბუნებრივი აირის საბადოს პარტნიორებმა სამშაბათს Union Fenosa Gas-თან დაინტერესების წერილის ხელმოწერის თაობაზე განცხადება გააკეთეს, რომელიც ეგვიპტეში გათხევადებული ბუნებრივი აირის (LNG) სადგურზე 15 წლის მანძილზე 70 მლრდ.კუბ.მ. ბუნებრივი აირის ექსპორტს ითვალისწინებს.



UFG
UNION FENOSA GAS

Tamar-ის საბადო 2009 წელს აღმოაჩინეს აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვაში. მისი სავარაუდო მარაგი 283 მლრდ.კუბ.მ. ბუნებრივი აირს შეადგენს. უფრო დიდი საბადო -

¹⁰ <http://www.hurriyetaidailynews.com/eu-wants-one-price-for-russian-gas-for-all-member-states.aspx?pageID=238&nID=65904&NewsCatID=344>

Leviathan-ი - მომდევნო წელს მის მახლობლად აღმოაჩინეს, რამაც ისრაელი ენერჯის პოტენციურ ექსპორტიორად აქცია.

Union Fenosa Gas-ს დამიეტას LNG-ი სადგურის 80%-იანი წილი გააჩნია. მას შემდეგ, რაც ეგვიპტის მთავრობამ საკუთარი ბუნებრივი აირის შიდა მოხმარებისთვის შენახვა დაიწყო და მიატოვა მისი ექსპორტზე გატანა, კომპანია წარმოებაში სირთულეებს განიცდის.

ტეხასში განთავსებულმა Noble Energy-იმ, რომელსაც Tamar-ის საბადოს 36%-იანი წილი გააჩნია, აღნიშნა, რომ ორივე მხარეს სურვილი აქვს 6 თვეში დაასრულოს ორმხრივი შეთანხმების მომზადება, თუმცა ნებისმიერ გარიგებას ორივე ქვეყნის (ისრაელი და ეგვიპტე) მარეგულირებლის თანხმობა დასჭირდება.

ებრაული კომპანიის დაახლოებულმა პირებმა აღნიშნეს, რომ საბოლოო შეთანხმების მიღწევის შემდგომ საჭირო იქნება ზღვის ფსკერზე ახალი გაზსადენის გაყვანა, რომლის საშუალებითაც ბუნებრივი აირი ეგვიპტეში გადაიზიდება.

ეგვიპტე, რომელიც ბოლო წლების მანძილზე ურთულეს ენერჯო შიმშილს განიცდის, ცდილობს საწვავის ადეკვატური მიწოდების უზრუნველყოფას და ელექტროენერჯის გათიშვების შედეგად გამოწვეული უკმაყოფილების თავიდან არიდებას.

Tamar-ის ებრაული პარტნიორების განცხადებით, Union Fenosa Gas-ისთვის ბუნებრივი აირის ფასი ისრაელის საექსპორტო ფასების მსგავსი იქნება და ძირითადად დამოკიდებული იქნება Brent-ის ტიპის ნავთობის ფასზე.¹¹

ქარის ენერჯია უფრო მიმზიდველი ხდება

Marc Inc.-მა Sumitomo Corporation of Americas-თან პარტნიორობით 200 მვტ. სიმძლავრის ქარის ელექტროსადგურ Mesquite Creek Wind-ის მშენებლობის თაობაზე განცხადება გააკეთა. ეს ქარის ელექტროსადგური Marc Inc.-ის ამერიკული საწარმოს (37 ქარხანა, 25 000 დასაქმებული) მოთხოვნის 100%-ის დაკმაყოფილებას შეძლებს.

ქარის ელექტროსადგური 1.7 მეგავატთან 118 ტურბინას შეკრებს. პროექტს ერთობლივად განახორციელებს Sumitomo და BNB. ქარის ელექტროსადგურის სავარაუდო წლიური გამომუშავება 800 000 მვტ.სთ-ს შეადგენს. ასევე, აშშ-ში საკვების მწარმოებელ ბიზნესებს შორის Marc Inc. იღებს ვალდებულებას ყველაზე დიდი პერიოდით აწარმოოს პროდუქცია ენერჯის განახლებადი წყაროებიდან.

¹¹ <http://www.reuters.com/article/2014/05/06/israel-gas-egypt-idUSL6N0NS24F20140506>

BNB-იმ, რომელიც არის ქარის ელექტროსადგურის თავდაპირველი დამპროექტებელი, პროექტის განხორციელება Sumitomo-სა და Marc-ს ჩააბარა. Sumitomo-სა და Marc-ს შორის ორმხრივი შეთანხმება დაიდო, რომლის საშუალებითაც Marc-ი ელ.სადგურის განახლებადი ენერჯის ყველა სერტიფიკატს მიიღებს.

„ამ არაორდინალური ვალდებულებით, როგორც არის მთლიანი განახლებადი ენერჯის შექმნა, Marc-ი ნათელ გზავნილს აქვეყნებს, რომელიც მიუთითებს, რომ ყველა კომპანიას, საჯარო თუ კერძოს, გააჩნია ძალა მსოფლიოს კლიმატის ცვლილებაზე ზეგავლენა იქონიოს. ეს კარგია შედეგისათვის, დადებითია გარემოსათვის და ასეთი პროექტები ჩვენთვის ძვირფასი ღირებულებების მემკვიდრეობას ტოვებს“ - განაცხადა BNB-ის დამფუძნებელმა ჯონათან ბუჩერმა.

Mesquite Creek Wind-ის განხორციელება 2008 წელს დაიწყო 101 მლნ.კვ.მ-ის ტერიტორიაზე ტეხასის შტატში. ქარის ელექტროსადგურს Blattner Energy Inc. აშენებს. ტურბინების ჩამოტანა დაგეგმილია ზაფხულის ბოლოსათვის. ხოლო ექსპლუატაციაში ქარის ელექტროსადგური 2015 წლის მეორე კვარტლიდან შევა.¹²

განახლებადი ენერჯების ინდუსტრიაში დასაქმებულთა რაოდენობა 14%-ით გაიზარდა

განახლებადი ენერჯების საერთაშორისო სააგენტოს (Irena) ანგარიშის მიხედვით, დასაქმებულ ადამიანთა რაოდენობა განახლებადი ენერჯების ინდუსტრიაში მსოფლიო მასშტაბით, 2013 წელს 14%-ით გაიზარდა და 6.5 მილიონს მიაღწია, მაგრამ ბრიტანეთში დარგში დასაქმებულთა რაოდენობა სტაგნაციას განიცდის.

განახლებადი ენერჯების სექტორში ყველაზე დიდი დამსაქმებელი მზის ენერჯის ინდუსტრიაა, რომელიც Irena-ს მონაცემების მიხედვით, 2.27 მილიონ ადამიანს ასაქმებს. ორგანიზაციის მონაცემები 168 წევრი სახელმწიფოს მონაცემს აერთიანებს. დარგში დასაქმების სიდიდით შემდეგი ორი



სექტორია: ბიომასა - 1.45 მილიონი ადამიანით და ქარის ენერჯია - 0.83 მილიონით. ქვეყნების მიხედვით უდიდესი დამსაქმებელი ჩინეთია, დარგში 2.6 მლნ. სამუშაო ადგილით, რომლის ორი მესამედი მზის ენერჯიაზე მოდის. აღსანიშნავია, რომ ჩინეთში ბოლო ორი წლის განმავლობაში მზის ენერჯიაში დასაქმებულთა რაოდენობა თითქმის

¹² <http://www.renewableenergyworld.com/rea/news/article/2014/05/wind-power-is-getting-sweeter>

გაორმაგდა. განახლებად ენერჯიებში შემდეგი დიდი დამსაქმებლები არიან ბრაზილია და აშშ, შესაბამისად 0.89 და 0.63 მლიონი სამუშაო ადგილით.

ფოტოვოლტანური მზის პანელების ფასი ბოლო წლებში საგრძნობლად გაიფდა, რამაც მათი რაოდენობის ზრდას შეუწყო ხელი. განსაკუთრებული ზრდა იყო ჩინეთში, რომელიც 2013 წელს მზის ენერჯიაში ახალი სიმძლავრეების დამატებით ლიდერი იყო მთელს მსოფლიოში. რადიკალურად განსხვავებული სიტუაციაა ბევრ განვითარებულ ქვეყანაში, მაგალითად ბრიტანეთში, სადაც სექტორის განვითარების ბედი გაურკვეველია.


დიდი ბრიტანეთის სამთავრობო სტატისტიკის მიხედვით ქვეყნის მწვანე ეკონომიკა, რომელიც დაახლოებით 128 მილიარდ ფუნტს მოიცავს, 2011-2012 წლებში 4.8%-ით გაიზარდა და ჯამში მილიონამდე ადამიანს ასაქმებდა. ამ მონაცემებით ის მთლიანი ეკონომიკის მაჩვენებლებსაც უსწრებდა. მონაცემები მოიცავს სუფთა ენერჯიის, ნარჩენებისა და წყლის სექტორებს. განახლებად ენერჯიებში დასაქმებულთა რაოდენობა კი წლების განმავლობაში მცირედით იცვლებოდა და დაახლოებით 275 000 იყო.

მზის ენერჯიის ინდუსტრია დაზარალდა ავსტრალიაშიც, სადაც მთავრობის გადაწყვეტილებით დარგს სუბსიდია მოუხსნეს. მოსალოდნელია, რომ ავსტრალიაში განახლებად ენერჯიებში 2012 წელს არსებული 23 000 სამუშაო ადგილი 2014 წლისთვის 12 000-მდე შემცირდება. Irena-ს მონაცემების მიხედვით, შემცირება იყო ასევე აშშ-ს, ევროპის, ინდოეთის ქარის ენერჯიის სექტორში, რაც დააკომპენსირა ჩინეთისა და კანადის დადებითმა ტენდენციამ.¹³

¹³ <http://energy.einnews.com/article/204377029/ozkZmX4SFB16TNyB?n=2&code=GC3nUIJkIECsLFtE>

იაპონია მომავალი 25 წლის განმავლობაში კოსმოსში 1 გიგავატი სიმძლავრის მზის პანელების სადგურების განთავსებას გეგმავს

იაპონიის კოსმოსის კვლევის სააგენტოს (JAXA) მეცნიერები მუშაობენ საპილოტე პროგრამებზე - იაპონური მეგაპროექტის საფუძველზე, რომლის განხორციელებაც მომავალ 25 წელიწადში იგეგმება და 1 გიგავატი სიმძლავრის მზის სადგურის კოსმოსში განთავსებას გულისხმობს. კოსმოსიდან მიღებული მზის ენერგია 150%-ით მეტია დედამიწის ანალოგზე. მეცნიერებს მხოლოდ გამომუშავებული ენერგიის დედამიწაზე დაბრუნების ტექნოლოგიის შემუშავება დარჩათ, რის შემდეგაც ფაქტობრივად მსოფლიოს ენერგეტიკული პრობლემები გადაიჭრება.



ბოლო პერიოდში მზის ენერგია სწრაფი ტემპებით ვითარდება. მეცნიერები თანხმდებიან, რომ მზე არის ერთადერთი სუფთა ენერგიის წყარო, რომელსაც მომავალში შეუძლია დედამიწის მოთხოვნის დაკმაყოფილება. მზე დედამიწაზე აურაცხელ ენერგიას აფრქვევს. მხოლოდ დედამიწაზე არსებული უდაბნოები იმდენ ენერგიას შთანთქავენ, რამდენსაც ადამიანები მთელი წლის განმავლობაში მოიხმარენ. დედამიწის ზედაპირი შესანიშნავი ადგილია მზის ენერგიის მოსაპოვებლად, მაგრამ კოსმოსი გაცილებით უკეთესია.

კოსმოსში მზის სხივებს ბევრი უპირატესობა აქვს. დედამიწისგან განსხვავებით კოსმოსში 24 საათის განმავლობაშია შესაძლებელი ენერგიის მიღება დღისით და ღამით, ასევე კოსმოსში არ არის ამინდის ცვალებადობაც. JAXA-ს მეცნიერებს სურთ ორი

უზარმაზარი სარკისგან შემდგარი პანელის შექმნა, რომლებიც მზის სხივებს მზის პანელებისკენ მიმართავენ.

დღესდღეობით აღნიშნული ენერჯის წყაროს შემაფერხებელი გარემოება არის ენერჯის გადაცემა. თუ კოსმოსში გამოშავებული ენერჯია დედამიწამდე ვერ ჩამოვიდა, ან ჩვენამდე დიდი დანაკარგებით მოაღწია, ტექნოლოგია არაეფექტური იქნება. მრავალი წლის განმავლობაში კოსმოსიდან ენერჯის გადმოცემის ერთ-ერთ ვარიანტად ლაზერს განიხილავდნენ. ლაზერი ზუსტი, ადვილად სამართავი და დამიზნებადი საშუალებაა.

კვლევის შედეგად ლაზერის გამოყენება გამოირიცხა, რადგან მას არ აღმოაჩნდა ენერჯის გადაცემის უნარი. 2008 წელს ჩატარებული ცდა შეიძლება აღმოჩნდეს საკითხის გადაწყვეტის გზა. ცდის შედეგად მიკროტალღებით ჰავაის კუნძულიდან 150 კილომეტრის მოშორებით 20 ვატი ენერჯია გადაიცა. მიუხედავად იმისა, რომ მიმღებმა მხოლოდ ერთი მიკროვატის მიღება შეძლო, ცდა მაინც წარმატებულად ჩაითვა და მეცნიერები განვითარების პერსპექტივებს ხედავენ. მიკროტალღების უარყოფითი მხარე არის ის, რომ საზოგადოებას აქვს მისი შიში, მაგრამ ცხოველებზე ჩატარებული ტესტების შედეგად დგინდება, რომ მიკრო ტალღები უსაფრთხოა.

საერთაშორისო აერონავტიკის სააგენტომ (IAA) ახლახანს გამოაქვეყნა კვლევა კოსმოსური მზის ენერჯის მხარდასაჭერად. კვლევაში JAXA მოხსენიებულია, როგორც მოწინავე კოსმოსური ენერჯის განვითარებაში. IAA მიიჩნევს რომ დარგში წარმატებების მისაღწევად აუცილებელია საერთაშორისო მხარდაჭერა და პარტნიორი ქვეყნების დახმარება. იაპონიაში ფუკუშიმას ავარიამდეც აცნობიერებდნენ ალტენატიული ენერჯის წყაროების განვითარების აუცილებლობას, დღესდღეობით კი ეს საკითხი უმნიშვნელოვანესია იაპონიისთვის, რისთვისაც ძალისხმევაა და ფინანსურ რესურსებს არ იშურებს.¹⁴

¹⁴ <http://www.extremetech.com/extreme/181389-japans-25-year-plan-to-put-a-gigawatt-solar-power-farm-in-space>